№ 154

1877—1897

ოთხშაბათი, 30 ივლისი 1897 წ.

# ივერია

ხაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 154

ოთხშაბათი, 30 ივლისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
მ. ლალიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა
აკაკისა
ნათელა
(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.
ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს-დადებითაც გაეგზავნებათ. (10—145—1)

## მთავრობის განკარგულებანი.

—

გამწესებულ-იქმნენ: კანცელარიის სტრა ჟორაბია—ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად; ნიკოლოზ ზაქარიას ძე დევიძე—ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის კანცელარიის მოხელედ.

დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მეVI ხარისხის მოხელე კოლეჟსკი სეკრეტარი ილია წულუკიძე—იმავე კანტორის მეთვალ-ყურედ; ზუგდიდის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი სტეფანე კომეტიანი-ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მეVI ხარისხის მოხელედ.

გადაყვანილ იქმნენ: ახალი ზაიაზეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწე კოლეჟსკი სეკრეტარი ანტონ აბაზაძე—ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწედ; ბათუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის მე.VI ხარისხის მოხელე იესე იორაშვილი—სოხუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის მე VI ხარისხის მოხელედ.

დათხოვნილ იქმნა, თავისისავე თხოვნით, ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი დავიდ ქონიაშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ლეიტენანტი თავ. გ. ს გოლიცინი ტფილისში ჩრდილოეთ კავკასიიდგან 3 აგვისტოს ჩამოვა.

*** 15 ივლისს, საზაფხულო თეატრს „ერმიტაჟში“ სცენის მოყვარეთაგან გამართული იქმნება წარმოდგენა ტფილისის ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოების სასარგებლოდ.

*** ქალაქის გამგეობამ სარჩელი აღძრა 63 კაცის წინააღმდეგ, რომელთაც მე-10 ნაწილში ქალაქის ადგილები დაისაკუთრეს.

*** ორშაბათს, 28 ივლისს, შეერთებული კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობასა და საბჭოს იმ კომისიას, რომელიც ხმოსან-ტეხნიკოსთაგან შესდგება. ამ კრებაზედ განხილულ იქმნა ინჟინერის მიხაილოვის მიერ აღძრული საგანი ქალაქის წყლის მილის გაუმჯობესობის და გაფართოების შესახებ. რადგანაც ავჭალის წყაროები საკმაო წყალს არ იძლევა, საკრებულომ საჭიროდ დაინახა გამოიკვლიოს ჯერ-ჯერობით, რამდენი წყალი მოუნდება და რა დაჯდება თუ რომ მტკვრიდგან იქმნა წყალი გამოყვანილი. თუ რომ ეს შესაძლებელი იქმნება, საკრებულო იმ აზრისაა, რომ ავჭალიდგან მეორე წყლის მილი იქმნას გაყვანილი და როდესაც ერთი წახდება, მეორეს ახმარებენ და ამ რიგად ქალაქს წყალი არასოდეს არ შემოაკლდება.

*** გუშინ-წინ, 28 ივლისს, ქალაქის მამულების ხელ-ახლად დამფასებელ საბჭოს აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარემ თავ. ა. ი. ბებუთოვმა, კომისიის წევრების თანადასწრებით, აუხსნა ახლად ამორჩეულ დამფასებელთ, რომ სახლების ხელ ახლად დაფასება უნდა მოხდეს ყოველდღე დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. მუშაობა, როგორც განზრახულია, 15 აგვისტოდგან დაიწყობა.

*** გუშინ-წინ, 28 ივლისს, ნაშუადღევის, 4 საათზედ მობრძანდა ტფილისში მისი უმაღლესობა ბუხარის ემირი მირ სეიდ-მირ-აბდულახად-ხანი და სასტუმრო „ორიანტში“ ჩამოხტა.

*** ტფილისის ქალაქის მთავარ-სამკურნალოს ზედამხედველი ბ-ნი იოანნესიანი ქალაქის გამგეობის მიერ გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან.

*** 14 აგვისტოს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად საქმე სიღნაღის მაზრის მცხოვრებლის ტიტიკო ნადირაშვილისა, რომელსაც ცოლის მოკვლა ჰბრალდება.

*** ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზას იჯარით კავკავის რკინის გზის საზოგადოება იღებსო. ეხლა, როგორც გაზეთებიდგანა სჩანს, ეს ხმა თან-და თან მართლდება. კავკასიის რკინის გზათა უმთავრესი მმართველობა პეტერბურგში იქმნება გადატანილი, ხოლო ადგილობრივი გამგეობა სამს ადგილს იქმნება: ტფილისსა, კავკავსა და როსტოვში.

*** სატახტო გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა შავის და ბალტიის ზღვების შეერთების პროექტის შემუშავებას.

*** ქუთაისის გიმნაზიაში ხელ-მეორედ გამოცდა მოსწავლეებისა მოხდება 21, 23, 24 26 აგვისტოს, ხოლო პირველ კლასში ახლად-შემსვლელთა 26 და 27 აგვ. დანარჩენს კლასებში წელს არავის მიიღებენ, რადგანაც თავისუფალი ადგილი არ არის.

*** გაზ. „კავკაზს“ შეუტყვია, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. ახაშენში საქონელს ციმბირის ჭირი გაჩენიაო, რომლისაგანაც 17—23 ივლისამდე 6 სული საქონელი დახოცილა.

*** წარსულს პარასკევს, ღამე, ახალციხეში მოჰკლეს თავისსავე სახლში სააფთიაქო მაღაზიის პატრონი. როგორც აღმოჩნდა, მკვლელებს გაძარცვა ჰქონიათ აზრათ.

*** ტფილისის მეეტლეების უწესოება მართლაც რომ აუტანელია. კვირას, 27 ივლისს, სათავად-აზნაურო ქარვასლის გამოსავალიდგან გამოვიდნენ ორი ყმაწვილი კაცი და ერთიც მანდილოსანი და დაუძახეს მეეტლეს. რადგანაც მორიგე მეეტლეს № 166 დასძინებოდა, მეორემ № 315 დაიჭირა მისი ადგილი. ჩასხდნენ ეტლში თუ არა, გამოეღვიძა მორიგე მეეტლეს, იწყინა, რატომ ჩემს ეტლში არ ჩასხდნენო, გააქანა ცხენები და ცხენებში გახლართა, ასე რომ მთელი ნახევარ საათი მოუნდა მეეტლე № 315, ვიდრე გამოიხსნიდა თავს. ამას აღარ აკმარა თავ-გასულმა მეეტლემ, გააქანა ცხენები და დააჯახა მეორე მეეტლის დასახურის მარჯვენა ფრთაში და სულ მთლად შეგლიჯა, შიგ მჯდომთ რო უკან არ დაეწივათ, დაასახიჩრებდა ვისმე. შეშინებული შიგ მჯდომები გადმოხტნენ და ნახევარ საათი მეტი პოლიციელს ეძახდნენ. ძლივს გამოჩნდა პოლიციელი № 92 და, იმის მაგიერ, რომ მეეტლე პოლიციაში წაეყვანა, დაუწყო პირ-იქით ჩხუბი და აურ-ზაური: აქვე ვიდექი და რა გაყვირებდათო... არ ვიცი, ღმერთმანი, ვის მიჰმარ-

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

ქარო! ისწრაფე, ისწრაფე,
დაქროლვა დააჩქარეო,
ნუგეშ იმედის ღრუბლები
მოჰბერე, გადმოყარეო,
გარდაქმენ ციურ ცვარებად,
აწვიმე, აწანწკარეო,
ამ ოხერ-ტიელ გვალვისა,
ჯავრი ამომიყარეო!..

ვ. თ—შვილი

### ქვემო-რაჭის ამ-ბარბი.

ამინდები.—ორიოდე სიტყვა ძველ და ახალ მოსავლის შესახებ.—გზები და მათი თვალ-ყურის მდევნელი ზედამხედველები.—გუბერნიის ადმინისტრაციის განკარგულება.—ამბროლაურის ბაზარი, უფასო საავადმყოფო, წიგნთ-საცავ-სამკითხველო და მისი ბედ-იღბალი.—აქაური წირვა-ლოცვა.—სწავლა-განათლების გაუმჯობესობა ქვემო-რაჭაში.—ორ-კლასიან სასწავლებლების კურთხევა მასწავლებლების და მოსწავლეების დაუსწრებლად და „არღანით“ ქეიფი.—ამბროლაურის სამმართველო-სასწავლებლის უკუღმა წასვლა და ამისი მიზეზი.

დღეს აგერ უკვე ზაფხულის შუა გულია, მაგრამ ქვემო რაჭაში ჯერ-ჯერობით მეტად გრილი ამინდები სდგას; თითქმის ისეთი სიცივეები იყო ხანდახან, რომ დილა-საღამოს ცეცხლის ანთება სჭირდებოდა. როდესაც სხვა კუთხეებიდგან მოისმოდა საჩივარი უწვიმობისა გამო, აქეთ თავი მოგვაბეზრა გადაუღებელმა წვიმებმა; ნიაღვრები აავსნა და ზარალიც ბევრი მოგვცა. ნიაღვარმა იმსხვერპლა ს. ხოტევში აზ. ლევან გოცირიძე, რომელიც ხოტევიდგან ექვსის ვერსის სიშორეზედ ჰნახეს წყალში მკვდარი.

მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს; პურები მშვენივრად ბიბინებს და ეხლა მწიფდება; ზოგიერთ ადგილას კიდეც დაიწყეს მკა; სიმინდის ყანების შეხედვას აღარაფერი სჯობია; ვენახსაც კარგად ასხია, უმეტესად მდ. რიონის პირად მდებარე სოფლებში: ბუგეულში, ზნაკვაში, სადმელში, ხვანჭკარაში, ამბროლაურში და წესში. ამ სოფლებში ყოველთვის შესანიშნავი ღვინო მოდიოდა, მაგრამ წელს-კი იმედი მგონი გაგვიცრუვდეს, რადგან ზოგიერთ სოფლებს ფილოქსერა ეწვია. ნიკორწმინდაში, კაჩაეთში, ჭელია-ღელეში, აგარაში, ხოტევში, თლუღში და წკადისში საზოგადოდ ღვინო ცოტა მოდიოდა და ისიც მჟავე დგებოდა; წელს-კი ამ სოფლებშიაც კარგი პირი უჩანდა ღვინის მოსავალს, მაგრამ ზოგან-კი ამას წინად მეტად გაახრა სეტყვამ. მაგ., ს. ხოტევში პური და სიმინდი დედამიწაზედ დააწვინა, ვენახს არ შეარჩინა ფოთოლი და ყურძენს მარცვალი, ისე დააყრევინა, რომ მგონი საჭმელადაც გასჭირდეს ყურძნის შოვნა. თუმცა აქაურებმა ეკკლესიის ზარსაც ბევრი ურტყეს, რკინეულობაც, რაიცა მოეძებნებოდათ სახლში, ყველა გარეთ გამოჰყარეს, როგორც აქვთ ჩვეულება რაჭაში, მაგრამ სეტყვამ მაინც თავისი ჰქმნა. ვაი იმისს დღეს, ვისაც ამ დროს აბრეშუმის ჭია ჰყავდა სახლში; მთლად დაამტვრევდნენ თავზედ სახლს, რადგანაც რაჭველები დარწმუნებულნი არიან, რომ სეტყვის დაცემის მიზეზი აბრეშუმის ჭიის ყოლა არის.

ქვემო-რაჭაში გასასყიდი ძველი სიმინდი არ იშოვება; ძლიერ კარგ საქმეს უშვრება აქაურ მკვიდრს ჩხარელი და ტყიბულელი ჩალვადრები, რომლებსაც ჩამოაქვთ ტყიბულისა და ჩხარიდგან აქ სიმინდი, ჰყიდიან კოდს (ოთხი ბათმანია) ექვს აბაზად; უფრო იაფადაც იშოვიდა კაცი, გზები რომ ვარგოდეს და ხელს არ უშლიდეს მგზავრობას. ყველას მოეხსენება, რომ ტყიბულიდგან ნაქერალას მთაზედ მთავრობამ მშვენიერი გზატკეცილი გამოიყვანა მთის წვერამდე; შემდეგ „ხარის თვალადგან“ დაწყებული ს. ჭელიაღელემდე ავდრიანს დღეს მგზავრობა მეტად გასაჭირია: ცხენი მუხლებამდე ეფლება ტალახში; ხოტევიდგან ამბროლაურამდე გზა სრულიად აღარ არის, ისე წაუღია ნიაღვარსა და მდინარე „ხოტეურა-კრიხულას“. მოგზაურმა უნდა იაროს სულ წყალ-და-წყალ ექვსი ვერსი და როდესაც წყალ დიდობაა, მაშინ ხომ ყოვლად ძნელია ფეხით მოგზაურობა. უსათუოდ უნდა გაიძროს ადამიანმა ფეხ-საცმელი, დაიკაპიწოს მუხლებამდე და ჩაუდგეს წყალში; თუ სადმე შეხვდა მაღალი წყალი, მაშინ უნდა გაჩერდეს და იცქიროს აქეთ-იქით, იქნებ ვინმე ცხენოსანს თვალი მოვკრა, უკან შემოვუჯდე და ისე გავიდე მეორე ნაპირასაო. კარგა ხანია, რაც ეს გზა გაფუჭებულია, მაგრამ ვინ არის პატრონი. ხმა დადის, რომ მთავრობას გადაუწყვეტია გადასდოს 80.000 მანეთი გზების შესაკეთებლად „ნაქერალის“ მთის წვერიდგან სოფ. წესამდე, სადაც გზა შეუერთდება რაჭა-ლეჩხუმის საფოსტო გზატკეცილს და ჩავა პირდაპირ დ. ონში; ეს გზა ხოტევიდგან გადაუხვევს ახალ-სოფელში და ჩამოივლის ამბროლაურში, სადაც მდინარე „კრიხულაზედ“ დასჭირდება ერთი გრძელი ხიდი. ამისათვის საჭიროა, რომ მაზრის ადმინისტრაციამ მიჰმართოს გუბერნიის ადმინისტრაციას და სთხოვოს შუამდგომელობა ვისთანაც ჯერ არს, რომ ეს საჭირო გზა დროით გადაკეთდეს, რადგან იმის ავ-კარგიანობაზედ არის დამყარებული მთელად ქვემო რაჭის კეთილდღეობა. ერთად-ერთი გზა ლეჩხუმის დიდი საურმე გზაა, მაგრამ იქაც ხშირად მოსპობილია მგზავრობა ზავისა გამო და ძლიერ შორსაც უვლის. სოფლებშიაც ბევრ ალაგას გააფუჭა მეწყერმა გზები, მაგრამ ჩვენის გზების ზედამხედველები უფრო ერთგულად „ბახუსს“ ემსახურებიან. ორი წელია მას აქეთ, რაც ქვემო-რაჭის სოფ. ამბროლაურში დაწესდა „ბაზრობა“, მაგრამ ჯერ არავითარი სიფხიზლე არ დასტყობია; ხალხიც გულ გრილად ეკიდება და ვერც შესჩვევია; ქალები-კი სულ არ ეკარებიან ბაზარს, რადგან აქაური ქალები მეტად მორცხვნი და მორიდებულნი არიან და ბაზარში გამოსვლა სირცხვილად მიაჩნიათ. მთავრობამ დააარსა ამბროლაურში უფასო საავადმყოფო; არის ექიმი, ორი ფერშალი, ერთი ფერშალი ქალი და ერთი ბებია ქალიც. საავადმყოფოს დიდი სარგებლობა მოაქვს მთელის რაჭის ხალხისათვის. მადლობის ღირსია საავადმყოფოს ექიმი ბ-ნი ნადირაძე, რომელსაც გულ-მოდგინეთ მოუკიდნია ხელი თავისის მოვალეო-

თოს კაცმა, რომ ამისთანა უწესოებას ბოლო მოეღოს!..

## სოფლების სამეურნეო თანხა და პურის ამბრები.

(დასასრული *)

ტფილისის მაზრაში.

სართიჭალის ნაწილის ავჭალის საზოგადოებას, რომელშიაც 5 სოფელია, 296 კომლი და 1.575 სული მკვიდრი,—დაზოგილი აქვს ფულად 5.261 მან. 80 კაპ.; მარტყოფის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 727 კომლი და 4 146 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.197$^1/_2$ ფუთი და ფულად 8.828 მან. 79 კაპ.; ნორიოს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 468 კომლი და 2.905 სული მკვიდრი,—1.846 ფუთი და ფულად 6.238 მან. 18 კაპ.; ახალსოფლის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 166 კომლი და 875 სული მკვიდრი,—მარცვლად 895 ფუთი და ფულად 2.695 მან. 37 კაპ.; მალხაზოვკას საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 99 კომლი და 594 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.165 ფუთი და ფულად 1.033 მან. 7 კაპ.; ხაშმის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 288 კომლი და 1.475 სული მკვიდრი,—მარცვლად 683 ფუთი და ფულად 2.054 მან. 85 კაპ. **); გომბორის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 67 კომლი და 485 სული მკვიდრი,—მარცვლად 300 ფუთი და ფულად 916 მან. 88 კაპ.; პატარძეულის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 311 კომლი და 2.174 სული მკვიდრი,—მარცვლად 2.450$^1/_2$ ფუთი და ფულად 3.342 მან. 27 კაპ.; საგარეჯოს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 757 კომლი და 4.354 სული მკვიდრი,—მარცვლად 5.242 ფუთი და ფულად 7.899 მან. 63 კაპ.; ბერთუბანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 154 კომლი და 1.215 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.250 ფუთი და ფულად 1.706 მან. 21 კაპ.; ნინოწმინდის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 220 კომლი და 1.146 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.918$^1/_2$ ფუთი და ფულად 2.208 მან. 34 კაპ.; მულანლოს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 125 კომლი და 874 სული მკვიდრი,—მარცვლად 588 ფუთი და ფულად 1.290 მან. 34 კაპ.; ნოვო-ნიკოლაევსკოეს საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 26 კომლი და 264 სული მკვიდრი,—მარცვლად 330 ფუთი და ფულად 108 მან. 35 კაპ.; გიორგი-წმინდის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 244 კომლი და 1.379 სული მკვიდრი,—მარცვლად 2.011$^1/_4$ ფუთი და ფულად 2.224 მან. 96 კაპ.; მანავის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 289 კომლი და 1.915 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.875 ფუთი და ფულად 2.632 მან. 87 კაპ.; უჯარმის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 107 კომლი და 459 სული მკვიდრი,—ფულად 1.455 მან. 52 კაპ.; ლილოს საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 226 კომლი და 1.194 სული მკვიდრი,—მარცვლად 853$^1/_2$ ფუთი და ფულად 3.685 მან. 21 კაპ. და სართიჭალის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 116 კომლი და 673 სული მკვიდრი,—მარცვლად 802$^1/_2$ ფუთი და ფულად 1.529 მან. 39 კაპ.

*) იხ. „ივერია“ ამა წლისა № 139, 144, 145, 146, 147, 150, 151, 152 და 153.

**) ხაშმის სასოფლო საზოგადოებამ 1892 წელს შეიძინა ერთი ნაჭერი მიწა საზოგადო ვენახის გასაშენებლად, ზომით 9 დესიატინა, რისათვისაც სამეურნეო თანხიდგან მიეცა 1.000 მან.

ტფილისის ნაწილის ხატის თელეთის საზოგადოებას, რომელშიაც 6 სოფელია, 164 კომლი და 1.327 სული მკვიდრი, დაზოგილი აქვს მარცვლად 818$^1/_2$ ფუთი და ფულად 2.470 მან. 88 კაპ.; კუმისის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 215 კომლი და 1.748 სული მკვიდრი,—მარცვლად 270 ფუთი და ფულად 3.291 მან. 53 კაპ.; კოდის საზოგადოებას, რომელშიაც 4 სოფელია, 202 კომლი და 1.316 სული მკვიდრი,—მარცვლად 921 ფუთი და ფულად 2.193 მან. 75 კაპ.; ვაშლოვანის საზოგადოებას, რომელშიაც 4 სოფელია, 297 კომლი და 1.935 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.479 ფუთი და ფულად 2.799 მან. 94 კაპ.; წინწყაროს საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 180 კომლი და 1.839 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.098 ფუთი და ფულად 1873 მან. 16 კაპ.; დურნუკის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 113 კომლი და 935 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.110 ფუთი და ფულად 1.318 მან. 53 კაპ.; დაგეთხაჩის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 213 კომლი და 2.375 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.926 ფუთი და ფულად 2.038 მან. 55 კაპ.; სამშვილდის საზოგადოებას, რომელშიაც 6 სოფელია, 189 კომლი და 1.765 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.301$^1/_2$ ფუთი და ფულად 1.774 მან. 82 კაპ.; მჟავისის საზოგადოებას, რომელშიაც 11 სოფელია, 97 კომლი და 758 სული მკვიდრი,—მარცვლად 640$^1/_2$ ფუთი და ფულად 416 მან. 29 კაპ.; ენაგეთის საზოგადოებას, რომელშიაც 10 სოფელია, 253 კომლი და 2.310 სული მკვიდრი,—მარცვლად 3.309$^1/_4$ ფუთი და ფულად 2.927 მან. 21 კაპ.; ალბულაღის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 120 კომლი და 1.230 სული მკვიდრი,—მარცვლად 742 ფუთი და ფულად 6.651 მან. 62. კაპ. ***); კონსტანტინოვკას საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 130 კომლი და 1.252 სული მკვიდრი,—ფულად 818 მან. 44 კაპ.; დიღმის საზოგადოებას, რომელშიაც 4 სოფელია, 348 კომლი და 2.110 სული მკვიდრი,—მარცვლად 273 ფუთი და ფულად 4.791 მან. 22 კაპ.; ლისის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 40 კომლი და 409 სული მკვიდრი,—მარცვლად 253$^1/_2$ ფუთი და ფულად 445 მან. 6 კაპ.; წყნეთის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 143 კომლი და 1.226 სული მკვიდრი,—მარცვლად 434$^1/_2$ ფუთი და ფულად 2.016 მან. 19 კაპ.; ღვევის საზოგადოებას, რომელშიაც 11 სოფელია, 159 კომლი და 1.395 სული მკვიდრი,—მარცვლად 942 ფუთი და ფულად 1.125 მან. 61 კაპ.; წავკისის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 149 კომლი და 1.572 სული მკვიდრი,—მარცვლად 937$^1/_2$ ფუთი და ფულად 1.580 მან. 11 კაპ. ****); პატარა-თონეთის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 155 კომლი და 1.385 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.286 ფუთი და ფულად 1.583 მან. 78 კაპ.; დიდი-თონეთის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 169 კომლი და 1.547 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.131 ფუთი და ფულად 2.256 მან. 21 კაპ.; ელიზავეტინსკოეს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 49 კომლი და 513 სული მკვიდრი,—მარცვლად 547 ფუთი და ფულად 703 მან. 75 კაპ.; მანგლისის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 109 კომლი და 1.318 სული მკვიდრი,—მარცვლად 325$^1/_2$ ფუთი და ფულად 2.201 მან. 75 კაპ.; გალიცინსკოეს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 32 კომლი და 422 სული მკვიდრი,—მარცვლაც 270 ფუთი და ფულად 392 მან. 97 კაპ. და სერგიევსკოეს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 37 კომლი და 345 სული მკვიდრი,—ფულად 350 მან. 31 კაპ.

***) ალბულაღის სასოფლო საზოგადოებას 1892 წელს ზოგიერთ საზოგადო შენობათა ასაგებად ამ საზოგადოების სამეურნეო თანხიდგან 1.187 მან. მიეცა.

****) წავკისის სასოფლო საზოგადოებამ 1893 წელს წყალი გაიყვანა, რისათვისაც ამ საზოგადოების სამეურნეო თანხიდგან მიეცა 200 მან.

ყარაიაზის ნაწილის ყარაჯალარის საზოგადოებას, რომელშიაც ერთი სოფელია, 70 კომლი და 434 სული მკვიდრი, დაზოგილი აქვს ფულად 1,519 მან. 49 კაპ.; თაქლის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია 211 კომლი და 1,895 სული მკვიდრი,—ფულად 3,328 მან. 64 კაპ.; გაჯალარის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 206 კომლი და 1,641 სული მკვიდრი,—ფულად 4,233 მან. 56 კაპ. და გიულკენდის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 45 კომლი და 180 სული მკვიდრი,—ფულად 720 მან. 89 კაპ.

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. მირზაანი,** (სიღნაღის მაზრა). 8 ივნისს ჩვენს სოფელს ეწვია მაზრის უფროსი ბ-ნი შანშიევი. მაზრის უფროსის ჩამოსვლას აზრადა ჰქონდა მოერიგებინა ერთმანეთში უბნები, რომლებიც აგერ რამდენიმე წელიწადია ერთმანეთისა სჭამენ, ღამის მთითხოვნ მთავრობისაგან სოფლის ორად განაწილებას, და აქამდის მაინც ვერ გადაუწყვეტიათ რა.

აა რამ აწეწ-დაწეწა სოფლის საქმე, რის გამო მეზობელი მეზობელს, ნათესავი ნათესავს აღარ იცნობს: სოფლის ერთს ნაწილს გაუკეთებია წყალი, ხოლო მეორეს-გზა. პირველები ეუბნებიან მეორეებს: წყლის გაკეთებაში მოგვეხმარეთ, ხოლო თვითონ მეორეებს გზის გაკეთებაში არ უდგებიან. მაზრის უფროსი ურჩევდა, რომ ნუ გინდათ აყალ-მაყალი, უთანხმოება ერთსა და იმავე სოფლის უბნებში. როგორც

ბისათვის და ხალხი მეტად მადლიერი ჰყავს. მაგრამ ზოგიერთები კიდევ პირველად ექიმის მაგიერ ჯერ ზნაკველ მკითხავ-ექიმს მიჰმართავენ და როდესაც იქ ვერას გახდებიან, შემდეგ საავადმყოფოში მოდიან. ამას წინად ერთ ცახელ გლეხს ხუთი წლის ბავშვი გახდომოდა ავად; პირი სახე მთლად დასიებოდა და კისერი მოჰქცეოდა; გლეხს წაეყვანა მკითხავთან, რომელსაც იმოდენი ხანი შეეჩერებინა ეს გლეხი, რომ ბავშვს ავადმყოფობა მორეოდა. ბოლოს ეს ბავშვი ამ გლეხმა მოიყვანა ამბროლაურში ექიმთან. ნუ თუ ადმინისტრაციას არ შეუძლიან ალაგმოს ეს მკითხავ-ექიმები, რომლებიც ხალხს სძარცვავენ და უდროოდ ისტუმრებენ საიქიოს!?

1895 წ. ამბროლაურში დაარსდა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რომელიც უნდა შენახულიყო საწევრო ფულის შეტანით; წიგნებიცა და ფულიც ამისათვის ბევრგან შეიკრიბა და გარდაეცა წიგნთსაცავის მმართველს ბლაღოჩინ-მღვდელს ნიკიფორე კანდელაკს და გამგე კომიტეტს, რომელსაც შეადგენენ ბლ. მღვ. მათე გორდეზიანი, მღვ. ვლადიმერ ფოფხაძე, მასწ. ონისიმე მინდელი, აზ. გიორგი ლორთქიფანიძე. ეს ფულები რას მოხმარდა, დღესაც არ ვიცით. რიგი იყო, რომ ორის წლის განმავლობაში ერთხელ მაინც მოეხდინათ ანგარიში და გაეგებინებინათ წევრებისა და საზოგადოებისათვის გაზეთის შუამავლობით. 20 ივნისს მივემგზავრებოდი დ. ონში; გავიარე ამბროლაურში, მოვკარი თვალი ქუჩის პირას ერთს კარებ-გაღებულს ოთახში წიგნებსა და მაგიდაზედ „ივერიის“ ნომრებს, ჩამოვხტი ცხენიდგან და გავეშურე ოთახისაკენ, წავიკითხე კარებზედ წარწერა და ამბროლაურის წიგნთ საცავი აღმოჩნდა; ოთახში არავინ იყო; გადავათვალიერე ყოველივე: წიგნები რუსული და ქართული, „ივერიის“ ნომრები, „კვალის“ რამდენიმე ნომერიც. ყველა ერთად იყო არეული ერთი მეორეში, ერთის წიგნის ფურცლები მეორე წიგნში იყო ჩადებული, ზოგიერთ წიგნს-კი თავი და ბოლო აღარსად უჩანდა; კატალოგი (წიგნების სია) არ არის, შემოსავალ-გასავლის წიგნში არაფერი იწერება, თუ ვინ რა შემოსწირა ფული და რას მოხმარდა, წიგნები ზოგს წაუღია 15 დღის ვადით ზოგს ერთის თვის ვადით, ზოგს ორის თვის ვადით და ზოგიერთს საუკუნოდ და რომელიც მოსწონებიათ, აღარც დაუბრუნებით. „აბონემენტნი“ წიგნში არ იწერება წაღებულის წიგნის ფასი. ასეთს დღეშია ამბროლაურის წიგნთსაცავი, მმართველს და გამგე კომიტეტს-კი აქ ორ თვეში ერთხელ ვერ ჰნახავთ, დამალულან და ყურსაც არ იბერტყამენ. უკეთესს მდგომარეობაში არ არის წიგნთ საცავი დ. ონში; იქაც ასე არეულ-დარეული საქმე. უფრო კარგი იქნებოდა მთელს რაჭაში ერთი ყოფილიყო და რიგიანი, ვიდრე ორი და არც ერთი არ ვარგოდეს.

ქვემო-რაჭის ზოგიერთ სოფლებში წირვა-ლოცვა საუცხოვოდ სრულდება: გათენდება თუ არა, პირის დაბანასაც ვერ მოასწრობთ, რომ აქაური მღვდელი ეკკლესიაშია და მნათეც ზარას უკაკუნებს; რაც უნდა აჩქარდეთ, ძნელად, რომ შუა წირვას მოუსწროთ. მედავითნე რას ჰკითხულობს, ან რასა ჰგალობს, გაგება არ შეგიძლიანთ; სასაცილოა მისი გალობა „მამაო ჩვენო“-სი: წინადადებათა ცალ-ცალკე დაყოფას როდი უყურებს, ჰჩქარობს, როგორმე მალე ჩაილილინოს. მღვდელი ყურადღებას არას აქცევს, ის მედავითნეს ასწრობს. მედავითნე მღვდელს. ამ წესით კვირა უქმე დღეს წირვა გათავებულია 9 ან 10 საათზედ. წირვის დროს ჰნახავთ ეკკლესიაში მღვდელს, მედავითნეს, მნათეს და ორ-სამს კაცს, ან მოხუც დედაკაცებს. კარგი იქნება, ბლაღოჩინები მიაქცევდნენ ამ ნაკლულევანებას ყურადღებას.

ეს ორი წელია, სწავლა განათლებამ იმატა ქვემო რაჭაში. წინანდელ ერთ კლასიან სასწავლებლის მაგიერ ეხლა ბევრგან ორ-კლასიანი არსებობს, ზოგიერთ სოფლებში-კი მეორესაც აარსებენ; ს. ხოტევი ეკუთვნის ნიკორწმინდის საზოგადოებას, სადაც არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით, მაგრამ ხოტეველებმა, ამისდა მიუხედავა, კიდევ დააარსეს თავისს სოფელში ერთ-კლასიანი სასწავლებელი, თავდაპირველად რაჭაში დააარსა ერთ-კლასიანი სასწავლებლები განსვენებულმა მაზრის უფროსმა ჩიჯავაძემ, შემდეგ 1893 წელს მაზრის უფროსის ბ-ნის ქავთარაძის და მომრიგებელი-შუამავლის ბ ნი ჯაყელის თაოსნობით ის აზრი დაიბადა, რომ უნდა შეერთებულიყო ორ-ორი ან სამ სამი საზოგადოება ერთად და სასწავლებლებიც უნდა გადაკეთებულიყო. როდესაც 1894 წ. ბ-ნი ქავთარაძე გადაიყვანეს რაჭიდგან და იმისს ადგილზედ გადმოიყვანეს უფროსად ბ-ნი ყიფიანი, ეს აზრი მაშინ განხორციელდა ბ-ნის ჯაყელისა და სახალხო სკოლების ინსპექტორის ქორქაშვილის დახმარებით. 1895 წ. აგვისტოს შუა რიცხვებში აკურთხეს ორ-კლასიანი სასწავლებლები ბუგეულსა, პატარა ონსა და ნიკორწმინდაში მოსწავლეების და მასწავლებლების დაუსწრებლად; რადგანაც ასეთ მოუხერხებელ დროს მოხდა ეს ამბავი, ამისათვის სკოლების კურთხევამ უფრო სადილების შექცევისა და ლხენით იჩინა თავი; ს. ბუგეულის სასწავლებელში ისე გაჩაღდა ქეიფი, რომ „არლანმაც“-კი თანაუგრძნო სწავლა-განათლების ტაძრის დღეობას დ თავისი ორიოდე ჰანგი შეაწია.

ყოველს საზოგადოებას ეღირსა ახალი სამმართველო-სასწავლებელი, ამბროლაურისათვის-კი არ გათენდა ჯერ: ვერ ეღირსნენ ვერავითარს წეს-წყობილებას; ამ სოფლის საქმე უკუღმა წავიდა. ამის მიზეზი საშუალო ალაგის ამორჩევის გამო ატეხილი უთანხმოება იყო. ამბროლაურის საზოგადოებას შემოუერთდენ ველევის და წესის საზოგადოებანი. ქუთაისის გუბერნატორი თითონ ბრძანდებოდა აქ და საშუალო ადგილად დააწესა ამბროლაური, მაზრის ადმინისტრაცია-კი დღემდე არ ეშვებოდა ს. ხიმშს. მაზრის უფროსი ბ-ნი ყიფიანი და ამბროლაურის ბოქაული ბ ნი მდივანი 15 ივნისიდგან გადიყვანეს რაჭიდგან პირველი ლეჩხუმის მაზრაში, მეორე დ. ონში. მამახლისებმა ორივეს გემრიელი სადილები გაუკეთეს და დიდის პატივისცემით გაისტუმრეს. მაზრის უფროსად დაგვინიშნეს თ-დი დადიშქელიანი, ბოქაულად-კი, ბ ნი იაშჩენკო. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამათის მეცადინეობით ბოლო მოეღება ამბროლაურში ყოველსავე უკმაყოფილებას და უწესოებას და ისევ წაღმა იბრუნებს პირს ჩვენის სამმართველოს და ორ-კლასიან სასწავლებლის ბედ-იღბალი.

ვლადო ბზვანელი

ძმები და მეზობლები, მიუდექით ერთმანეთს ხარჯში და მორიგდით, თორემ იძულებული ვიქნები უფრო სასტიკი საშუალებანი ვიხმაროო. ამ სიტყვებმა ყრილობა ჩააფიქრა და მაზრის უფროსისავე რჩევით ამოირჩია სამი საპატიო კაცი და იმათ მიანდო სადაო საქმის გადაწყვეტა. იმედი გვაქვს, რომ ამორჩეული კაცები გაამართლებენ საზოგადოების და პირველ მაზრის უფროსის ნდობას და მალე მოაშველებენ უზნებს ერთმანეთში.

ბოლოს ბ-ნმა მაზრის უფროსმა წაუკითხა ყრილობას სახალხო სკოლების ინსპექტორის მოწერილობა იმის შესახებ, რომ, თუ საზოგადოება იკისრებს სახლის აშენებას ახლანდელ სასოფლო სკოლასთან, მთავრობა დააარსებს საქალებო განყოფილებას და მასწავლებელს—ქალს თვითონ დაუნიშნავს ჯამაგირსაო. ამ ამბავმა საზოგადოება შეაშფოთა და აყაყანა. ბოლოს სოფლის მოთავე კაცებმა მოახსენეს ბ-ნს მაზრის უფროსს, რომ ნება მოგვეცით მოვიფიქროთ კარგად და პასუხი მერე მოგახსენოთო. აქეთ იქიდგან უარის ხმა მაინც ისმოდა: „არ გვინდა სკოლა, არაო... ბიჭები რასა სწავლობენ, რომ გოგოებმა რაღა ისწავლონ: გულით რო გვინდოდეს, თამასუქს ვერ წაგვიკითხავენო“....

ვნახოთ, შემოდგომაზედ რას იტყვიან?!.

ი. გ—რი

—

**ს. ანაგა.** (ქიზიყი). კარგა ხანია, რაც ანაგასა და მახლობელ სოფელ ვაქირს ამ უკანასკნელს სოფელში აქვთ საერთო ერთ-კლასიანი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელშიაც 60 მოსწავლე სწავლობს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ანაგაში 750 კომლამდე მცხოვრებია და ვაქირში უფრო მეტი, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ჩვენს სკოლას არ ძალ-უძს ყველა სწავლის მსურველის დაკმაყოფილება; ან-კი როგორ დააკმაყოფილოს, როდესაც სწავლის საჭიროება აქ ყველას შეუგნია და სცდილობენ თავისს შვილებს ანაზანა მაინც შე სწავლონ. ყველა მსურველებს-კი, ჯერ ერთი, სკოლის შენობა ვერ დაიტევს, მეორე კიდევ, ერთი მასწავლებელი ვერ გაუძლევება. ეს სკოლა სხვაფრივაც მოუხერხებელია ჩვენთვის: ნახევარი ანაგა ისეა დაშორებული სკოლას, რომ იქამდის ყმაწვილს რამდენისამე ვერსის გავლა უხდება ღრრო-ჩოღრო მთებსა და ხევებზედ. როგორ-ღა იმეცადინოს კლასში დაღლილ-დაქანცულმა ბავშვმა? ამიტომ ხსენებულ ნახევარ ანაგას ვერც-კი წარმოუდგენია, რომ იმისთვისაც არის სკოლა და იმასაც შეუძლიან იმითი სარგებლობა. ამის შემდეგ ცხადია, რომ ანაგელებისთვის უთუოდ საჭიროა საკუთარის სკოლის დაარსება და ეს არც ძნელია, თუ სოფელს გულ-შემატკივარი და პატრონი ეყოლება. როგორც საზოგადოდ ქიზიყის სოფლებში, აქაც შედარებით შეძლებული ხალხი სცხოვრობს, ისე რომ ყოველს იმათგანს თამამად შეუძლიან გამოიღოს სკოლისათვის წელიწადში ერთი მანეთი და ეს-კი, ვგონებ, საკმარისი იქნება, რომ უზრუნველ იყოს ერთის სასოფლო სკოლის არსებობა.

რაც შეეხება მომავალის სკოლის პროგრამას, უნდა შევნიშნოთ, რომ სასურველია ამ სკოლის პროგრამა ცოტად განსხვავდებოდეს აწ არსებული სკოლის პროგრამისაგან. ანაბანის შესწავლას, თუ საჭიროება მოითხოვს, ეხლანდელ დროში გლეხი უსკოლოდაც მოახერხებს, მხოლოდ სკოლაში ყმაწვილები იმისთანა ცოდნას უნდა იძენდნენ, რომელიც გლეხისათვის უპირველესს საჭიროებას შეადგენს. სკოლამ უნდა განუვითაროს ბავშვს გონება, ასწავლოს იმას კარგი რუსული და ქართული წერა-კითხვა. გარდა ამისა, სკოლამ უნდა შეუმუშაოს ბავშვს, ხასიათი, რომ ის შემდეგში არ შეუშინდეს მუშაობას და გაჭირვებას; გააგებინოს ცოტა რამ სასოფლო კანონ-მდებლობისა და მეურნეობისა, სახელდობრ იმ დარგისა, რომელსაც აქ უფრო მისდევენ, ან ადვილად შესაძლებელია, მაგალითად, ვენახის მოვლა-მოშენება და ღვინის დაყენება, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა. ამბობენ, ქიზიყელი გლეხი ჯიუტიაო, სკოლისათვის ხარჯის გაღებას ადვილად არა თანხმდებაო და სხ. სწორედ რომ ვთქვათ, ეს აზრი უსაფუძვლოდ არ არის გავრცელებული. ახალის საქმისა ხალხს მუდამ ეშინიან, ვაი თუ ტყუილ უბრალოდ მოგვივიდეს ხარჯიო და სხ. მაგრამ კეთილი ჩამგონებლები მუდამ კეთილს გავლენას იქონიებენ და თუ ხალხი დაარწმუნეს საქმის სიკეთეს, არც ის დაიწევს უკან და ყოველს ხარჯს გაიღებს თავისისავე საქმის გასაუმჯობესებლად, თორემ უამისოდაც სკოლის დაარსების საქმე აქ ეხლა ერთობ გაადვილებულია. წარსულს კვირას სიღნაღის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორმა კ. ბაღაშვილმა მთავრობის დავალებით ანაგელებს გამოუცხადა, რომ თუ ისინი სამინისტრო სკოლას ინდომებენ, მთავრობა ნახევარ ხარჯსა ჰკისრულობს; მაშასადამე, იმ ხარჯს, რასაც ეხლა აქაურები საერთო სკოლისთვის იღებენ, სულ ცოტა-ღა უნდა მოუმატონ, რომ საკუთარი სკოლა იქონიონ. სრული იმედი გვაქვს, რომ პატივცემული კ. ბაღაშვილი ამ საქმეს ბოლომდის მიიყვანს. და ვისურვებთ, სკოლის დამაარსებლებს ჩვენი მცირე შენიშვნები მხედველობაში მიეღოთ და შესაფერისი მასწავლებელი მოეწვიოთ.

ა. მ.

—✦✦—

# რუსეთი

—

რადგანაც ყაზანის მომავალს საბაქტერიოლოგიო ინსტიტუტს საშუალება არა ჰყოფნის, ხელახლად შეამდგომლობა დაუწყიათ, რომ დამატებითი 15 ათასი მან. იქმნას გადადებული. ინსტიტუტი მომავალს წელს, შემოდგომაზედ, უკვე დაარსებული იქმნება.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უკვე დაუსრულებია ადგილობრივის სასოფლო-მეურნეობის პროექტის შემუშავება. მალე პროექტი ჯეროვანს უწყებებს გაეგზავნებათ განსამარტებლად. ადგილობრივის სასოფლო-მეურნეობის მოწყობის საქმეში მხურვალე მონაწილეობის მისაღებად პროექტი საერობო დაწესებულებათა, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათ იწვევს და სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მხრივ ამ საქმისათვის საგანგებო საგუბერნიო წარმომადგენლობას აარსებს. იქ, სადაც ერობა შემოღებული არ არის, ეს საქმე განსაკუთრებულს სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებასა ან საბჭოს დაევალება.

— საფრანგეთის ცნობილის ეკონომისტის ლერუა ბოლიეს შვილი პიერი ლერუა ბოლიე ციმბირის გზით იაპონიაში წავიდა ამ დღეებში. ახალგაზდა მოგზაური ახალშენების საქმესა სწავლობს სხვა-და სხვა ადგილას და აზრადა აქვს ციმბირის ბუნებითი სიმდიდრე გაიცნოს.

— ექიმთა საერთაშორისო—მე-XII კრებაზედ დასასწრებლად ოსმალეთის მხრივ დელეგატებად გამოგზავნილნი არიან: ჯევალ-ფაშა, მთელს ოსმალეთში საუკეთესო ექიმად ცნობილი, რომელსაც განათლება პარიზსა, ვენასა და ბერლინში აქვს მიღებული და ბ-ნი ცატიი, რომელიც სასახლის ქიმიურს ლაბორატორიას განაგებს. დანიიდგან ოთხი ექიმია გამოგზავნილი.

— ნიკოლოზის რკინის გზის სადგურებზედ—პეტერბურგსა და მოსკოვში, სადგურის უფროსების კანტორებში 1-ლიდგან 5 ავგისტომდე ექიმები და საექიმო ფაკულტეტის სტუდენტები იქმნებიან მორიგეებად, რომ საერთაშორისო ექიმთა კრებაზედ დასასწრებლად მიმავალ წევრთ საჭირო ცნობები მისცენ ხოლმე.

— იმპერატორის ნიკოლოოზ 1-ლის სახელობაზედ არსებულ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში შემსვლელ სტუდენტთაგან თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. პირველს კურსზედ ამ წელს 123 თავისუფალი ადგილია. მეორე კურსზედ მხოლოდ იმათ მიიღებენ, ვისაც სამათემათიკო-ფიზიკო ფაკულტეტი აქვს დასრულებული უნივერსიტეტში. საკონკურსო გამოცდი 16 ავგისტოს დაიწყება, ხოლო სწავლა—1 ლს სექტემბერს.

— მოსკოვში ამ ჟამად ბროკარის მიერ შეკრებილ ძველის სურათებისა და ხელოვნურ ნაწარმოებთა გამოფენაა გამართული მოსკოვის ფრანგთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. გამოფენისათვის 5.000-მდე ნაწარმოებია შეკრებილი სხვა და-სხვა სკოლისა, ეპოქისა და მიმართულებისა. ამ ნაწარმოებთა შორის ბევრი მე-XVII საუკ. მოიძებნება.

— ზოგიერთა ქალაქის პოლიციას მრავალჯერ აღუძრავს კითხვა—საქველ მოქმედო აზრით გამართული სახალხო ლექციები სახალხო სანახაობად უნდა ჩაითვალოს და იმპერატრიცა მარიამის უწყების დაწესებულებათა სასარგებლოდ გარდასახადი გადაჰხდეს, თუ არაო. ახლა მისის უდიდებულესობის საკუთარი კანცელარია აცხადებს, რომ 1892 წ. 5 მაისის კანონით, საქველმოქმედო გარდასახადი მხოლოდ ფასიან სანახაობასა და თავგასართობზედ დამსწრეთ უნდა გადაჰხდეთ და არა სამეცნიერო ლექციების მომსმენელთ, რადგანაც იგინი არავითარს სანახაობასა და თავგასართობს არ წარმოადგენენო.

—✦✦—

# უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ამ ბოლოს დროს ევროპის ყურადღება მთლად ბალკანეთის კუნძულმა მიიპყრო. ყველა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს იქიდგან მოსულს ცნობებს და სხვა ამბებს თითქმის აღარავითარს ყურადღებას აღარ აქცევს. ჟურნალ-გაზეთებს, დიპლომატებს, მოხელეებს, მოხუცებულს და ახალგაზდას პირზედ მხოლოდ ოსმალეთი და საბერძნეთი აკერია. სწორედ ამ გარემოების ბრალია, რომ ევროპა საზოგადოდ და ჟურნალ-გაზეთები კერძოდ ნაკლებს ყურადღებას აქცევენ ავსტრი უნგრეთის და იმის შინაურს საქმეებს და ათასში ერთხელ თუ მოიხსენიებს იმ არეულ-დარეულობასა და ბრძოლას, რაც ამ ჟამად ავსტრი-უნგრეთში ხდება. ყოველს ექვს გარეშეა, ოსმალეთისა და საბერძნეთის ომი რომ არა ყოფილიყო, მთელის ევროპის სალაპარაკო დღეს ავსტრი-უნგრეთი იქმნებოდა. მართლაც-და, ისე გამწვავდა ამ ბოლოს დროს ავსტრი-უნგრეთში ერთა შორის ბრძოლა, რომ ძნელად წარმოსადგენია ამ გარემოებამ სხვა სახელმწიფოებზედაც არ იქონიოს რაიმე გავლენა. ერთა შორის ბრძოლა მუდამ იყო ავსტრიაში, მაგრამ ამ ბოლოს დროს მან უკანასკნელ საზღვრამდის მიაღწია და მებრძოლთა შორის შერიგება თითქმის შეუძლებელი გახადა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, მინისტრ-პრეზიდენტის გრაფ ბადენის მიერ გამოცემულმა ბრძანებამ ჩეხელთა ენის შესახებ, რომლის ძალით ამ უკანასკნელს ზოგიერთა უფლება ეძლევა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ავსტრიელთა შორის. იციან აგრეთვე ის, რომ ავსტრიელთა პარლამენტიდგან ბრძოლა ქალაქებსა, სოფლებსა, ქუჩებსა და ეკკლესიაშიაც-კი გადაიტანეს. მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, ავსტრიელნი ამას არ დასჯერდნენ და სულ სხვა საშუალებას მიჰყვეს ხელი. ქარხნებში და საერთოდ ყველა დაწესებულებაში ჩეხელი მუშა აღარ დააყენეს. ყველგან, სადაც-კი შეეძლოთ, განდევნეს ჩეხელები და იმათ ნაცვლად იტალიელები ჩააყენეს. ქალაქებში სახლის პატრონებმა ავსტრიელებმა თავიანთი მდგმური ჩეხელები დაითხოვეს და ეს უკანასკნელნი ბინას ვეღარსად ჰშოულობენ.

ეს კიდევ არაფერი. ავსტრიელები ქუჩაში თავიანთ სამშობლო ენაზედ ლაპარაკის ნებასაც არ აძლევენ ჩეხელებს. ამას წინად, გაზ. „Миров. Отгол.“-ის სიტყვით, რეიხენბერგის ქალაქის თავმა ექიმმა ბაერმა და იმისმა ამხანაგებმა ორ ჩეხელსა სცემეს მარტო იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთში თავიანთ სამშობლო ენაზედ ლაპარაკობდნენ. ჩეხელებმა ყველა ამის გამო, საჩივარი შეიტანეს, რომლის პირიც მინისტრ პრეზიდენტს გრაფ ბადენს გაეგზავნა. ასე არიან გადამტერებულნი ავსტრიელნი და ჩეხელნი და იმათ შერიგებას და შეთანხმებას არაფერი ეშველა. გრაფ ბადენმა უკვე სამი პროექტი შეადგინა ამ ორ ერთა შორის შეთანხმების შესახებ, მაგრამ ვერც ერთი ვერ ეღირსა განხორციელებას.

—

**ოსმალეთი.** გაზ. „Berliner Tageblatt“-ი ამბობს, რომ კონსტანტინეპოლში შესაძლებელია ხელ-ახლად არეულობა მოხდესო. ამ საგნის შესახებ გაზეთის კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტი სწერს: სომხებს კვლავ მოძრაობა ეტყობა. შაბათს საპატრიარქოს შენობის წინ დიდი არეულობა მოხდა. პატრიარქს იმას ემდურებიან, რომ სომხების საქმეს მხარს არ უჭერსო. ხმა დადის, ვითომც სტამბოლის მეჩეთში ასაფეთქებელი ყუმბარები ეპოვნოთ. პოლიცია გაფაციცებით დაეძებს საეჭვო კაცებს, ბევრი კიდეც დააპატიმრეს.

— ამას წინად გვქონდა მოხსენებული, რომ კონსტანტინეპოლის სამხედრო სასწავლებლის სტუდენტებმა არეულობა მოახდინესო. გაზეთების სიტყვით სტუდენტებსა და ადმინისტრაციის ზოგიერთ აფიცრებს ლაპარაკი მოუვიდათ და ეს ლაპარაკი დიდ ჩხუბად გადაიქცა. აფიცრებმა დარაჯებს დაუძახეს საშველად, რომელთაც რამდენიმე სტუდენტი დასჭრეს კიდეც. სტუდენტები ამის შემდეგ ცალკე ოთახებში დაამწყვდიეს და 24 საათის განმავლობაში საჭმელი აღარ მისცეს. სასწავლებლის დირექტორს ავნი-ფაშას უნდოდა ებძანებინა ჯარის კაცებისთვის თოფის სროლა, მაგრამ უმაღლესმა მთავრობამ დროით შეაყენა. 47 სტუდენტი უკვე განდევნეს სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ადგილას.

—✦✦—

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 ივლისი.

**პეტერბურგი.** 28 ივლისს, თერთმეტ საათზედ, კრასნოე სელოში ჯარები დაათვალიერეს მათმა უდიდებულესობამ. სულ მონაწილეობას იღებდა: 72 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 43 ესკადრონი კავალერია, 14 ასეული ყაზახთა და 42 არტილერიის დივიზიონი; ჯარებს უფროსობდა 51 გენერალი და 1,425 ოფიცერი. სულ 32,425 ჯარის-კაცი იღებდა მონაწილეობას. ჯარებს ჰსარდლობდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე. ჯარები ოთხ წყობად დალაგდნენ. ქვეითი ჯარი სამეფო შემაღლებულ ადგილის წინ დაეწყო, მარჯვნივ ‒ ქვეითი არტილერია, მარცხნივ-ცხენოსანი არტილერია; სამეფო შემაღლებულ ადგილის უკან კავალერია დაეწყო. ჯარების დათვალიერება იმითი დაიწყო, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, გერმანიის იმპერატორმა, იმპერატრიცებმა და სამეფო გვარეულობის გვამთ ჯარებს ჩამოუარეს. ამის შემდეგ მათი უდიდებულესობანი სამეფო შემაღლებულს ადგილას შეიკრიბნენ და აქედგან უცქეროდნენ მარშს. როდესაც მისის უდიდებულესობის საკუთარმა ცხენოსანმა რაზმმა გაიარა, ხელმწიფე იმპერატორი ჯარებს წინ წარუძღვა და მარშით გაატარა გერმანიის იმპერატორის წინ. როდესაც გვარდიის ქვეითა ჯარმა გაიარა, ამალიდგან გერმანიის იმპერატორი გამობრძანდა, ვიბორგის ქვეითა ჯარს, რომელიც მისს სახელს ატარებს, წინ წარუძღვა და ხელმწიფე იმპერატორის წინ გაატარა. ამავე დროს ხმლით სალამს აძლევდა. ჯარების დათვალიერების შემდეგ მათის უდიდებულესობათათვის სამეფო შემაღლებულს ადგილზედ საუზმე იქმნა გამართული. სამს საათზედ მათნი უდიდებულესობანი ახალს პეტერგოფს წაბრძანდნენ.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა: გამოცხადებულ იქმნას, რომ აზკარრანგი დროებით საბჭოს პრეზიდენტად იქმნა დანიშნული; კანოვასი დიდის სამხედრო პატივით უნდა იქმნას დასაფლავებული. კანოვასს მადრიდში დაასაფლავებენ.

29 ივლისი

**კონსტანტინეპოლი.** ოფიციალურად. ბოლგარიის თავადი მოვიდა აქ, რომ სულთანს პატივი სცეს და ერთგულება გამოუცხადოს. თავადი აქ ორ დღეს დაჰყოფს.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინდელს კრებაზედ თოფხანეში ელჩებმა აუწყეს გარეშე საქმეთა მინისტრს იმ დათმობის შესახებ, რომელიც თესალიის ევაკუაციას შეეხება. დღეს ამ საქმის შესახებ მინისტრთ ბჭობა ექმნებათ. თუ ეს საქმე გადასწყდა შემდეგი კრება სამშაბათს მოხდება თოფხანეში.

მეორე ოსმალეთის საზღვაო დივიზია სმირნაში მოვიდა.

**ლონდონი.** „ტიმეს“ დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ თევთიქ-ფაშამ და ელჩებმა ახალი მუხლი შეიმუშავეს თესალიის თესალიის ევაკუაციის შესახებ. თევთიქ-ფაშამ ეს ახლად-შემუშავებული მუხლი წარუდგინა სულთანს, რომლის თანხმობასაც მოელიან. ახალი მუხლის ძალით, სამხედრო ჯილდოს პირველი გადასახადის გასტუმრება უნდა მოხდეს პირველ-დაწყებითი ზავის დადების შემდეგ.

**კონსტანტინეპოლი.** პორტას ატყობინებენ, რომ შეიარაღებული სომხები სპარსეთის საზღვარს გადმოდიანო. იმათსა და ქურთებს შორის შეტაკებაა. ელჩებს ამის შესახებ ჯერ არაფერი უცნობებიათ.

**მადრიდი.** პროვინციიდგან იუწყებიან, რომ ხალხი საშინლად აღელვებულია კანოვასის მოკვლის გამო. ბარცელონის პოლიციის უფროსს სურათი აქვს მკვლელისა, რომელიც სტამბაში ასოთ-ამწყობად იყო. ჰფიქრობენ, რომ მკვლელის ნამდვილი სახელი ხოზე სანტო—ა. იგი აქტიურ ანარხისტად არის ცნობილი.

**მადრიდი.** ახალ-შენთა მინისტრი მივიდა საიტ აგედში და კანოვასის მოკვლის შესახებ დაწვრილებით ცნობებს იუწყება. დაჭრილი კანოვასი მიწაზედ დაეცა და შუბლი იტკინა; მაშინვე გული შეუღონდა. ქ-ნი კანოვასი, თოფის ხმაზედ, სახლიდგან გამოვიდა და მკვლელს წყევლა-კრულვით მიჰმართა. იმან უპასუხა: „მე თქვენ პატივსა გცემთ, იმიტომ რომ პატიოსანი ქალი ბრძანდებით, მაგრამ ჩემი მოვალეობა აღვასრულე და დამშვიდებული ვარ: მე ჩემი ძმების სისხლი ვიძიე“.

## წერილი რედაქციის მიმართ

„კვალში“ დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ლავრენტი ბერძენიშვილისა, რომელიც იწერება, რომ ბათუმში ერთის ბერძნის ოჯახში მე ვნახე ფრანგული წიგნი, რომლის ერთ ფურცელზედ ქართულის ასოებით ლოცვაც არის დაბეჭდილიო. ამის შესახებ შემდეგს მოგახსენებთ:

ამ საუკუნის დასაწყისს მთელს ევროპაში განითქვეს სახელი ვენეციის სომეხ-კათოლიკეთ მხ თარისტების კონგრეგაციამ. ამ ძმობის მონასტერს, სასწავლებელს, სტამბას და სამეცნიერო წიგნთ-საცავს ხშირად ევროპის მსწავლულნი და სახელმწიფო კაცნიც იხილავდნენ ხოლმე.

ამ საუკუნის პირველ წლების შემდეგ სხვათა შორის, კეთილ ინება რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმაც და მოგზაურობის დროს ვენეციის მხითარისტების მონასტერი, სასწავლებელი და სტამბაც უნდა ენახა. მაშინ მხითარისტებმა ხელმწიფე იმპერატორის პატივის-საცემლად თავიანთ სტამბაში დაბეჭდეს ხსენებული წიგნი, სადაც მოთავსებულია ერთი ლოცვა რამდენისამე ხალხის ენაზე. მხითარისტებმა დაბეჭდილი წიგნი ხელმწიფე იმპერატორს მიართვეს, რის გამოც მათ მოწყალებაც მიიღეს. დავძენ, რომ ვენეციის მხითარისტების სტამბაში ქართული ასოები და ასოების ყალიბები ძველად რომიდგან გადმოუტანიათ; რომშიკი ქართული ასოები პირველად 1630 წლებში იქმნა ჩამოსხმული.

ზ. ჭიჭინაძე

# განცხადებანი

ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.

ВЫСОКІЯ ДОСТОИНСТВА НАШИХЪ ИЗОБРѢТЕНІЙ:

Цвѣточнаго о-де-колона, Глицериновой пудры, усовершенствов. Глицериноваго мыла и парфюмеріи „Персидская сирень“, вызываютъ массу подражателей, что и вынуждаетъ насъ просить гг. покупателей обращать вниманіе на нашу фабричную марку и фирму.

БиКа БиКа БРОКАРЪ и Ко ВЪ МОСКВѢ. ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.

(4—მ.—1)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(9)

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული

## დამზღვევი საზოგადოება

## „როსსია“

(რუსეთი)

ს. პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, 37

**ძირისა და სათადარიგო თანხა 29,000,000 მანეთი.**

საზოგადოების მოქმედება:

### დაზღვევა სიცოცხლისა

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა ოჯახის ანუ საკუთარის მოხუცებულობის, ქალის მზითვის, კაცთა სტიპენდიების და სხ. უზრუნველ-საყოფლად, განსაკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ დამზღვეველნიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების მოგებაში.

1896 წლის 1 იანვრისთვის „რუსეთი“-ს საზოგადოებაში დაზღვეულ იქმნა 41,397 კაცი 1(2,694,700 მან.

### დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთოდ ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ დასაზღვევი შესატანი შემცირებული იქმნება დივიდენდის ჩარიცხვისა გამო.

### დაზღვევა ცეცხლისაგან

ყოველგვარ უძრავისა და მოძრავის ქონების (შენობათა, მანქანებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

### დაზღვევა გასაგზავნ საქონლისა

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით და აგრეთვე გემებისა.

**განცხადება დაზღვევის მსურველთაგან მიიღება** და **ყოველგვარი ცნობები** ეგზ ვნება გამგეობას პეტერბურგში (ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი, № 37): **ტფილისის** განყოფილებაში (სერგეევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

**უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევი ბილეთები მგზავრებს** როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ, მიეცემათ რკინის გზის სადგურსა და ნავთ-სადგურებზედ.

(6—147—1)

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

## „კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

ვადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოვვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

### ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში:** «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.

**ქუთაისში:** ბექანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

**ბათუმში:** მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

**ფოთში:** სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქ ნ ნინო ბერეჟიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

**ოზურგეთში:** კოწია თავ რთქილაძესთან, „შუამავალში“.

**ლანჩხუთში** — „შუამავალში“, კ. თავართქილაძესთან.

**საჩილაოში** — „შუამავალში“.

**საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან.

**ჭიათურაში:** ირაკლი ღვკანოზიშვილთან.

**ყვირილაში** (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

**წიფაში:** კირილე ხარაძესთან.

**ზუგდიდში:** კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

**სენაკში:** ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, სამ. ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

**ონში:** თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

**განჯაში:** ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

**ბაქოში:** გიორგი დეკანოზიშვილთან.

**კავკავში:** ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

**ხონში:** ივანე შარაშიძესთან.

**გორში:** ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

**თელავში:** ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

**სიღნაღში:** დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

**ახალციხეში:** გრიგოლ ბურჭულაძესთან.

**ახალქალაქში:** ილია ალხაზიშვილთან.

**ხაშურში:** იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

**მოლითში:** პავლე გურცხალიასთან.

**ბრეთში:** თავ. ვანო ავალიშვილთან.

**გუდაუთში** (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.

**ალსტაფაში** მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—18) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

## ი. გოგიელოვის შვილების

## საავაჭრო

ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით.

(10—108—9

Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Іюля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.